<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განკარგულება №
---მაისი 2023 წელი

ქალაქ თბილისში, დიდუბის რაიონში, სანდრო ახმეტელის ქუჩისთვის მსახიობის თამარ სხირტლაძის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. დიდუბის რაიონში, სანდრო ახმეტელის ქუჩას მიენიჭოს მსახიობის თამარ სხირტლაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**


X:480817 Y:4623837
თამარ სხირტლაძის ქ.
X:481737 Y:4623833
N
1:5,000

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032304673**
თარიღი: **15/02/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სახელდების და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქალბატონ ნინო ვარდოსანიძეს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ წერილობით მომმართა „თბილისის სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრი“-ს დირექტორმა, ბატონმა თამაზ ჯაფარიძემ. მოგეხსენებათ, "თბილისის სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრი" მდებარეობს გლდანში, აკ. ვასაძის ქუჩაზე. სანდრო ახმეტელის ღვაწლი ქართული თეატრის და კულტურის ისტორიაში ფასდაუდებელია, ის იყო ქართველი რეფორმატორი რეჟისორი და ქმნიდა განუმეორებელ თეატრალურ ხელოვნებას.

ბატონმა თამაზ ჯაფარიძემ მომმართა „სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრი“-ს დასის სახელით, თხოვნით, რომ ქუჩას - რომელზეც მდებარეობს „სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრი“ , შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს სანდრო ახმეტელის ქუჩა (აკაკი ვასაძის ქუჩის ნაცვლად).

დანართი: 01 ფურცელი

პატივისცემით,

კონსტანტინე ზარნაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
მაჟორიტარი წევრი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ახმეტელის
თეატრი

AKHMETELI
THEATRE

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გლდანის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატს,

ბატონ კონსტანტინე ზარნაძეს

ბატონო კონსტანტინე,

მოგეხსენებათ თბილისის სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრი მდებარეობს გლდანში, აკ. ვასაძის ქუჩაზე. სანდრო ახმეტელი რეფორმატორი ქართველი რეჟისორი იყო, მისი ღვაწლი ქართული თეატრისა და კულტურის ისტორიაში გამორჩეულია, ახმეტელი ქართულ, ეროვნულ ნიადაგზე შლიდა შემოქმედებას და ქმნიდა განუმეორებელ თეატრალურ ხელოვნებას.

მოგმართავთ სანდრო ახმეტელის თეატრის დასის სახელით. გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდების და სიმბოლიკის კომისიასთან, რომ ქუჩას, სადაც მდებარეობს სანდრო ახმეტელის თეატრი - შეეცვალოს სახელწოდება და ეწოდოს სანდრო ახმეტელის ქუჩა (აკაკი ვასაძის ქუჩის ნაცვლად).

პატივისცემით,

თბილისის სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრის დირექტორი,

თამაზ ჯაფარიძე

14.02.2023

მის: აკ. ვასაძის ქ. 14
ტელ: 032 2657277

Add: Ak. Vasadze Str. 14
Tel: 032 2657277

Email: theatreakhmeteli@gmail.com
Web: www.akhmetelitheatre.ge

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032312169**
თარიღი: **01/05/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი წევრის კონსტანტინე ზარნაძის 2023 წლის 15 თებერვლის საქმე #11-032304677-03 დაკავშირებით, რომლითაც სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრის დირექტორის თამაზ ჯაფარიძის მიმართვის საფუძველზე გვთხოვს აკაკი ვასაძის ქუჩის სახელის ცვლილებას და სანდრო ახმეტელის სახელის მინიჭებას.
საქმისწარმოების პროცესის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ აკაკი ვასაძის ქუჩის, სანდრო ახმეტელის ქუჩის და წნორისწყლის ქუჩის სიტუაციური ნახაზები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 5 (ხუთი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01231223943**
თარიღი: **02/05/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ ნინო ვარდოსანიძეს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო ნინო,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 01.05.2023 წლის #03-032312169 (01.05.2023 წ. #14-01231212810-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. 3 დანართი)

პატივისცემით,

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032312169**
თარიღი: **01/05/2023**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გლდანის რაიონის მაჟორიტარი წევრის კონსტანტინე ზარნაძის 2023 წლის 15 თებერვლის საქმე #11-032304677-03 დაკავშირებით, რომლითაც სანდრო ახმეტელის დრამატული თეატრის დირექტორის თამაზ ჯაფარიძის მიმართვის საფუძველზე გვთხოვს აკაკი ვასაძის ქუჩის სახელის ცვლილებას და სანდრო ახმეტელის სახელის მინიჭებას.
საქმისწარმოების პროცესის სრულყოფილად განხორციელების მიზნით, მოგმართავთ თხოვნით, მოგვაწოდოთ აკაკი ვასაძის ქუჩის, სანდრო ახმეტელის ქუჩის და წნორისწყლის ქუჩის სიტუაციური ნახაზები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 5 (ხუთი) გვერდი.

ნინო ვარდოსანიძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

თამარ სხირტლაძე

(1929-2022)

თეატრისა და კინოს მსახიობი. საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი, საქართველოს სახალხო არტისტი, თბილისის საპატიო მოქალაქე

თამარ სხირტლაძე დაიბადა 1929 წელს, ლაგოდეხში. 1949 წელს დაამთავრა თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრთან არსებული დრამატული სტუდია. იმავე წლიდან ჩაირიცხა კოტე მარჯანიშვილის თეატრის დასში, სადაც 1967 წლამდე მოღვაწეობდა. 1967–1975 წლებში რუსთავის თეატრის მსახიობი იყო, ხოლო 1975 წლიდან კვლავ კ. მარჯანიშვილის თეატრში მოღვაწეობდა. თამარ სხირტლაძე მრავალფეროვანი მსახიობი იყო. მისი შესრულება გამოირჩევა სცენური სიმართლით, უშუალობით, ლირიზმით. როლები: ფოსინე (კ. ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“), მაყვალა (მ. ბარათაშვილის „მარინე“), ლამაზისეული (ი. ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!“), მზევინარი (ა. ყაზბეგის „მოძღვარი“), მაია (დ. კლდიაშვილის „უბედურება“), მისის პირსი (ბ. შოუს „პიგმალიონი“), გვირისტინე (პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინება“), კაკანო (ნ. დუმბაძისა და გ. ლორთქიფანიძის „მე ვხედავ მზეს“), ლუჩია პეტრელა (ე. დე ფილიპოს „კომედიის ხელოვნება“), მასწავლებელი (ზ. სკოვრონსკის „მაესტრო“), გონერილა (უ. შექსპირის „მეფე ლირი“), ეკა (ო. იოსელიანის „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი“), დედა (ნ. დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“), დარია (ი. გარუჩავას და პ. ხოტიანოვსკის „შენი მიწა“) და სხვ.

ფილმოგრაფიიდან ცნობილია: 1971: „გათენების წინ“ რეჟ. ყარამან (გუგული) მგელაძე

1975: „ერთი ნახვით შეყვარება“ რეჟ. რეზო ესაძე

1975: „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“ რეჟ. ყარამან (გუგული) მგელაძე

1975: „მოხეტიალე რაინდები“ რეჟ. თემურ ფალავანდიშვილი

1976: „თვალი პატიოსანი“ რეჟ. შოთა მანაგაძე

1979: „წინაპართა მიწა“ (დარია) რეჟისორები გრიგოლ (გიგა) ლორთქიფანიძე, გიული ჭოხონელიძე

1979: „მეცამეტე გოჭი“ რეჟ. რევაზ ჭარხალაშვილი

1982: „ქართლოსიანთა საკურთხეველი“ (ფარნავაზის დედა) რეჟ. ალინა აბაშმაძე

1982: „გზის დასაწყისი“ რეჟ. ლიანა ელიავა

1983: „დღეს ღამე უთენებია“ (მოხუცი ევა) რეჟ. ლანა ღოღობერიძე

1984: „ორშაბათი ჩვეულებრივი დღეა“ (ვენერა ხურციძე) რეჟ. ვალერიან კვაჭაძე

1984: „სკაპენის ოინები“ რეჟისორები გიორგი კალატოზიშვილი, მიხეილ კალატოზიშვილი (უმცროსი)

1984: „ზოგი ჭირი მარგებელია“ (მარინე) რეჟ. პავლე ჩარკვიანი

1984: „ადამიანთა სევდა“ რეჟ. გოდერძი ჩოხელი

1985: „დედუნა“ რეჟ. დავით ჯანელიძე

1986: „ექვსი თოვლიანი დღე“ რეჟ. იური კვაჭაძე

1986: „მოდი, ვილაპარაკოთ“ (სიდედრი) რეჟ. რამაზ გიორგობიანი

1986: „ორომტრიალი“ რეჟ. ლანა ღოღობერიძე

1987: „ფესვები“ რეჟ. ყარამან (გუგული) მგელაძე

1988: „როდესაც ჩაგიქროლებს, როდესაც ჩაგივლის“ რეჟ. კახა მელითაური

1988: „გრაციოზო“ რეჟ. არმაზ ბურნაძე

1988: „წინამორბედი“ რეჟ. იური კვაჭაძე

1988: „მეტიჩარა“ (მარო) რეჟისორები ნელი ნენოვა, გენო წულაია

1989: „თეთრი დროშა“ რეჟ. გოდერძი ჩოხელი

1989: „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“ (დონ კიხოტის სახლმმართველი) რეჟ. რევაზ (რეზო) ჩხეიძე

1990: „ზვარაკი“ რეჟ. გენო ჩირაძე

1992: „ოქროს ობობა“ (ზინა) რეჟისორები მიხეილ ანთაძე, გოგი ქავთარაძე, დავით კვირცხალია

1992:"ვალსი პეჩორაზე" რეჟ. ლანა ღოღობერიძე

1993: „ციხე-სიმაგრე“ რეჟ. დავით ჯანელიძე

1993: „კალმასობა იოანესი“ რეჟ. ზურაბ მექვაბიშვილი

1998: „ლუკას სახარება“ რეჟ. გოდერძი ჩოხელი

1999: „მიჯაჭვული რაინდები“ (ინგლისელი ქალი) რეჟ. გოდერძი ჩოხელი

2000: „ზაფხული, ანუ 27 დაკარგული კოცნა“ რეჟ. ნანა ჯორჯაძე

2000: „ნუცას სკოლა“ (ნიკას დედა) რეჟ. მერაბ კოკოჩაშვილი

2003: „სიყვარულის ცეცხლი“ რეჟ. გოდერძი ჩოხელი

2009: „ჯართოსანი“ (მართა) რეჟ. ნონა გიუნაშვილი

2011: „გული+“ რეჟ. ირაკლი ჩხიკვაძე

2012: „...37“ რეჟ. დემეტრე (დუტა) სხირტლაძე

თამარ სხირტლაძე უხუცეს მსახიობად ითვლებოდა ქართულ კინოსა და თეატრში. მან მოხსნა ცნობილი ქართველი მსახიობის ვერიკო ანჯაფარიძის რეკორდი (70 წელი გაატარა სცენაზე). თამარ სხირტლაძეს მოიხსენიებენ როგორც „მსახიობი ასაკის გარეშე“. მას ჰყავდა ერთადერთი შვილი მსახიობი თაზო თოლორაია, რომელიც გარდაიცვალა 2004 წელს. მისი მეუღლე ასევე მსახიობი კოტე თოლორაია გარდაიცვალა 2017 წელს.

2010 წელს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის წინ საზეიმოდ გაიხსნა თამარ სხირტლაძის ვარსკვლავი. 2019 წელს, მას მიენიჭა „წლის პერსონის“ წოდება ჯაზ-მომღერალ გიული ჩოხელთან ერთად. ასევე დაჯილდოებულია საქართველოს თეატრალური საზოგადოებისგან „ლიზა ჩერქეზიშვილის სახელობის ჯილდოთი“.

გარდაიცვალა 2022 წლის 23 ნოემბერს, 93 წლის ასაკში.